შედგა სსკგ-ს თავმჯდომარის შეხვედრა ბუდიმის ეპისკოპოს ლუკიანესთან



2021 წლის 6 სექტემბერს, უნგრეთში ყოფნის ფარგლებში, მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარე, ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტი ილარიონი ბუდაპეშტის წმინდა გიორგის ეკლესიას (სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესია) ეწვია. ტაძრის შესასვლელთან მეუფე ილარიონს ბუდიმის ეპარქიის მმართველი ეპისკოპოსი ლუკიანე შეეგება.

მცირე პარაკლისის დასრულების შემდეგ, სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესიის იერარქი თბილად მიესალმა სსკგ–ს თავმჯდომარეს. მეუფე ლუკიანემ აღნიშნა მისი ხანგრძლივი ნაცნობობა მიტროპოლიტ ილარიონთან, რომელიც დაიწყო მისი უნგრეთის მიწაზე მსახურების დროს და სიხარული გამოხატა ბუდაპეშტში მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესობის ჩასვლისა და სერბეთის ადგილობრივ სამრევლოში

ვიზიტის გამო. ეპისკოპოს ლუკიანეს თქმით, ეს ვიზიტი გახდა კიდევ ერთი თვალსაჩინო გამოვლინება რუსეთი და სერბეთის ეკლესიების სიახლოვისა. იერარქმა გამოთქვა იმედი, რომ ეს სიახლოვე ხელს შეუწყობს ეკლესიების მსახურების გაგრძელებას ხშირად რთულ თანამედროვე პირობებში.

ბუდიმის ეპარქიის მეთაური ცალკე შეეხო ჩერნოგორიაში მართლმადიდებელი ეკლესიის მდგომარეობას. მან თქვა, რომ წინა დღეს დაბრუნდა უნგრეთში ცეტინედან, სადაც მონაწილეობა მიიღო ჩერნოგორიისა და პრიმორსკის მიტროპოლიტ იოანიკეს ინტრონიზაციაში. მეუფემ სიხარული გამოხატა დღესასწაულზე მოსკოვის საპატრიარქოს დელეგაციის მონაწილეობისთვის და ლოცვითა დახმარება სთხოვა ჩერნოგორიელი მართლმადიდებელი ქრისტიანებისთვის, რომლებიც კანონიკური ეკლესიისადმი ერთგულებას ინარჩუნებენ.

ეპისკოპოსმა ლუკიანემ მიტროპოლიტ ილარიონს სერბეთის უწმინდესი პატრიარქ პორფირეს სალამი გადასცა და ლოცვითი კავშირის სახსოვრად წმინდა პეტრე ცეტინელის ხატი უბოძა.

საპასუხო სიტყვაში სსკგ-ს თავმჯდომარემ სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენელს გამოჩენილი მასპინძლობისთვის გულწრფელი მადლობა გადაუხადა. მეუფე ილარიონმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ უნგრეთში მსახურების წლებში მას ყველაზე თბილი ურთიერთობა ჰქონდა სერბეთის ეკლესიის ადგილობრივ ეპარქიასთან და მის წინამძღვართან. იერარქის აზრით, ეს ტრადიცია გრძელდება და კეთილ ნაყოფს იძლევა.

მიტროპოლიტმა ილარიონმა ასევე ისაუბრა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მხრიდან სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ერთიანობის ურყევი მხარდაჭერის შესახებ. სსკგ-ს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესმა პატრიარქმა კირილემ, ჩერნოგორიისა და პრიმორსკის მიტროპოლიტ იოანიკეს კათედრაზე ასვლასთან დაკავშირებით მილოცვა გაუგზავნა.

დასასრულ, სსკგ-ს თავმჯდომარემ ეპისკოპოს ლუკიანეს ღვთის შეწევნა უსურვა უნგრეთში სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სამწყსოს მწყემსმთავრულ დაპურებაში და იერარქს უნგრულ ენაზე გამოცემული თავისი რიგი წიგნები უსხსოვრა.

იერარქთა ურთიერთობა ძმურ ტრაპეზზე გაგრძელდა.

სსკგ-ს კომუნიკაციების სამსახური

წყარო: https://mospat.ru/ge/news/87971/